# გურგენიძემ ვალებში გადაგვაგდო!

გაზეთი “News TIME & კრიმინალი” – 23-29 ოქტომბერი, № 42, 2008

საქართველოს უნიათო ხელსიუფლებამ რომელიც საკუთარ ჯიბეზე უფრო ზრუნავს, ვიდრე მოსახლეობაზე, ქვეყანას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ყველა სფეროში პროფესიონალი კადრების დეფიციტია, არადა, წესით ამის საჭიროება არ უნდა იყოს. დღევანდელ საქართველოში კვალიფიციური სპეციალისტების იგნორირება ხდება.

ახლახან დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი დაფუძნდა, რომელშიც ყველა სფეროს წამყვანი სპეციალისტები არიან გაწევრებულნი. რა გეგმები აქვს ამ კლუბს ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანის საქმეში და რა ელის საქართველოს მომავალში? ამ საკითხებთან დაკავშირებით, ეკონომიკის ექსპერტი **ლადო პაპავა** გვესაუბრება. “საზოგადოებაში არის კატეგორია სპეციალისტებისა, რომელიც მასმედიის ხელშეწყობით ცნობილია, როგორც ექსპერტი პოლიტოლოგიის, ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, ეროვნული უსაფრთხოების და ა.შ. საკითხებში. მეტნაკლებად ცნობილი სპეციალისტები ექსპერტებად ვართ წარმოჩენილი. ჩვენს სფეროებს ძალისხმევას არ ვაკლებთ, რისთვისაც დიდი მადლობა მასმედიას. ყოველ შემთხვევაში ბეჭდური მედია ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობს. ძალა ერთობაშია და ამიტომაც ჩავთვალეთ, რომ აუცილებელი იყო პრობლემების კომპლექსურად დანახვა. ამის აუცილებლობა წაგებულმა ომმა დააყენა, როდესაც პოლიტიკაში, საერთაშორისო ურთიერთობებში და განსაკუთრებით ეკონომიკაში უამრავი პრობლემა დაგროვდა.

თითქოს ეს პრობლემები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, მაგრამ სინამდვილეში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. დაიბადა აზრი, რომ ჩვენი ხედვის ერთობლივი დოკუმენტი მოგვემზადებინა. რა პრობლემებია, რა შეცდომები დაიშვა ქვეყანაში და რა რეკომენდაციები უნდა გაკეთდეს ამ პრობლემების გადაჭრისათვის. ამ დოკუმენტის მომზადებაში სხვადასხვა დარგის

სპეციალისტები მონაწილეობდნენ, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანებების წევრები არიან".

**– ამ კატეგორიის ექსპერტს დამოუკიდებლობაზე პრეტენზია როგორ შეიძლება ჰქონდეს?**

– ვინც არ ვართ რომელიმე პარტიის წარმომადგენელი, მათ გადავწყვიტეთ შევკავშირებულიყავით. დამოუკიდებელ ექსპერტთა ერთობას კლუბი დავარქვით, რადგან ეს საკმაოდ ნეიტრალური სახელია. ამ კლუბში მხოლოდ ის ექსპერტები გავწევრდით, რომლებიც არც სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენელია და არც რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.

ამით ჩვენი მიუკერძოებლობა გვინდა ვაჩვენოთ. პრობლემის მიმართ დამოკიდებულება ჩვენი პროფესიული ხედვიდან გამომდინარეობს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვაქვს ჩვენი ინტერესები და სიმპათიები პოლიტიკურ სპექტრში. ამას ჩვენ არჩევნების დროს დავაფიქსირებთ. როგორც ექსპერტებს გვინდა ჩვენს ნათქვამი ერთნაირად აღსაქმელი იყოს ყველასთვის, პირველ რიგში ხელისუფლებისათვის, რადგან თუ რამეა  გასაკეთებელი, ეს მათი საქმეა. ასევე - ოპოზიციისთვისაც, სამომავლო გეგმების თვალსაზრისით. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ხდება ქვეყანაში.

**– ომი, განსაკუთრებით კი წაგებული ომი რომ ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება, ამაში ეჭვი არავის ეპარება. იქნებ კონკრეტულად გვესაუბრა ამ საკითხზე?**

– მე გამიჭირდება მარტო ომზე გავაკეთო აქცენტი, რადგან ეკონომიკაში ძალზე ბევრი პრობლემა ომამდეა შექმნილი. უბრალოდ ომმა ეს პრობლემები გაამძაფრა. კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა. ამიტომ ცალ-ცალკე დაყოფა, რომ ეკონომიკაში შექმნილი პრობლემა წმინდა ქართული ფენომენია და ომზე არ ვისაუბროთ შეუძლებელია. თუმცა არც ის შეიძლება, ყველაფერი მხოლოდ ომს ან გფკ-ს დავაბრალოთ. ისე აშკარაა, ხელისუფლების მცდელობა, რომ ყველაფერი გფკ-ს დააბრალოს. ამ საკითხებში მოსკოვი და თბილისი ერთნაირად იქცევა, ყველაფერს კრიზისს აბრალებს.

– მაშინ იმაზე ვისაუბროთ, რა პრობლემების წინაშე დგას საქართველოს ეკონომიკა და მისი მდგომარეობა ადგილობრივმა ფაქტორმა გაამწვავა თუ უცხოურმა?

– რომ არ ყოფილიყო ომი, ქვეყანაში ინფლაცია მაინც მაღალი იყო, თუმცა ხელისუფლება ამას მარტივი ხერხით ნიღბავდა. სტატისტიკის დეპარტამენტი, როგორ დამოუკიდებელი ინსტიტუტი პრაქტიკულად აღარ არსებობს. ის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენელი ნაწილია და მთვარობას რაც უნდა, იმას აქვეყნებინებს, რაც უკვე მცდარი მოდელია.

მთავრობა როცა 11-12%-იან ინფლაციას აქვეყნებს, ყველამ კარგად ვიცით, რომ სინამდვილეში ინფლაცია მეტია. როგორც წესი, ინფლაციას მინიმუმ 1/3-ით მაინც ამცირებენ, ანუ როცა ამბობენ ინფლაცია 12%-იაო, იქ 18%-ია, თუ მეტი არა.

ამას მთლად ომს ნუ დავაბრალებთ. ომმა გარკვეული კორექტივი შეიტანა, რაც განსაკუთრებით 11-12 აგვისტოს გამოჩნდა. მცირედი პანიკა რომ შეიქმნა, რუსები თბილისში შემოდიანო, კატასტროფულად გაიზარდა მოთხოვნა არამალფუჭებად პროდუქტებზე, რამაც ფასების ზრდა გამოიწვია. ბაზარი სწრაფად დაშოშმინდა, მაგრამ მცირე ნახტომი ფასებში ამან მაინც გამოიწვია. ინფლაციური პროცესი ომმა მართლაც დაამძიმა, მაგრამ ის მანამდეც ხომ იყო?

**– აგვისტოს დღეებში შეშინებულმა ხალხმა ბანკებიდან ანაბრების გამოტანა დაიწყო. ამ პანიკამ საბანკო სექტორზე რა გავლენა მოახდინა?**

– იქ საკმაოდ რთული ვითარება შეიქმნა, რადგან გფკ-ის საწყის ეტაპზევე გამოიკვეთა, რომ ქართულ ბანკებს ევროპაში იაფი საკრედიტო სესხების მოძიება გაუძნელდათ. ევროპაში სესხულობდნენ და აქ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით ასესხებდნენ. ეს პროცესი გართულდა, რამაც საქართველოში საპროცენტო განაკვეთის ზრდა გამოიწვია.

მაგალითად, სამშენებლო ბიზნესი ავიღოთ, რაც საერთოდ ჰაერის გაყიდვაზე იყო დაფუძნებული. ხშირად შექმნილი იყო პირამიდები, როდესაც ესა თუ ის სამშენებლო კომპანია ძველი ვალდებულებების შესასრულებლად ახალ მშენებლობას აცხადებდა, აქედან შემოსული ფულით ადრე დაწყებულ მშენებლობას ამთავრებდა. ადრე თუ გვიან ეს ფინანსური პირამიდა აუცილებლად აფეთქებოდა. არსებობდა ინფლაციური ხარჯები, რომელიც დამახასიათებელი იყო ჩვენი ბიუჯეტისათვის.

მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში ეროვნული ბანკის შესახებ მიღებულმა კანონმა ეროვნული ბანკი, როგორც ინსტიტუტი დააკნინა. ამის საკმაოდ დესტრუქციული ქმედება მოჰყვა, ივნისის დასაწყისში ეროვნული

ბანკიდან თანამშრომლები გაუშვეს, რამაც ეს ორგანიზაცია საკმაოდ დაასუსტა. ეს ყველაფერი ომამდე და გფკ-მდე იყო და მერე უფრო გამძაფრდა.

დამატებითი პრობლემა პანიკის გამო შეიქმნა, ხალხმა ბანკებიდან თავისი ფულის გატანა დაიწყო. შეფასებულიცაა, რომ ბანკებმა იმ პერიოდში დეპოზიტების სახით 700 მილიონი ლარი დაკარგა, რაც საკმაოდ დიდი თანხაა. ომის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში, თანხის 25-30% თუ დაბრუნდა უკან. ბანკებს ისედაც უჭირდათ საკრედიტო რესურსი და კიდევ უფრო მეტად გაჭირდა მისი მოძიება.

**– უგზოუკვლოდ გამქრალ 500-მილიონიან ობლიგაციების თანხაზეც მინდა გკითხოთ...**

– ვერ გეტყვით გამქრალია თუ არა, მაგრამ მთელი პრობლემა ისაა, რომ ქვეყანამ საგარეო ვალი ნახევარი მილიარდი დოლარით გაზარდა. თქვენ ვალს ისე ხომ არ აიღებთ, თუ წინასწარ არ გეცოდინებათ რისთვის გჭირდებათ ეს ფული? გამორიცხულია აბსტრაქტული მიზეზით აიღოთ სესხი.

კონკრეტულ მაგალითს გეტყვით. ბანკი სესხს როცა გასცემს, იქ პირველ რიგში იმას კითხულობენ, რისთვის გჭირდებათ ეს სესხიო. ბანკს მარტო ის კი არ აინტერესებს, გარანტიაში რა იდება და რამდენადაა კრედიტის მიმღები გადახდისუნარიანი, მას ისიც აინტერესებს, რისთვის გინდათ ეს ფული, რათა უფრო მეტად დარწმუნდეს,
ფული რომ არ იკარგება.

ამიტომ როდესაც სახელმწიფო ვალს იღებს, ყველა ჩვენგანმა უნდა ვიცოდეთ, რაში დაიხარჯება ეს ფული, რადგან ვალი და მისი პროცენტები ბიუჯეტის, ანუ ყველა ჩვენგანის გადასახდელია. ასე რომ მთავრობა ვალდებული იყო, მოსახლეობისთვის თუნდაც ბუნდოვნად ეთქვა რისთვის უნდოდა ეს ფული.

**– პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე ხომ გვმოძღვრავდა, რომ ეს ვალი უმიზეზოდ არ აუღიათ?**

– კურიოზიც მაგაშია, რომ გურგენიძე ამბობდა ეს ფული გაზსაცავის ასაშენებლად და მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზების გასაყვანად გვჭირდებაო. მოგვიანებით ყოფილმა ენერგეტიკის და დღეს უკვე ფინანსთა მინისტრმა გილაურმა ეს ვერსია უარყო და განაცხადა, ეს თანხა მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდებში უნდა წავიდესო.

**– მომავალი თაობების ფონდს რა დანიშნულება აქვს?**

– როდესაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაცია მოხდება, მათი ეკონომიკური რეაბილიტაცია უნდა მოხდეს. ამაში კი საგარეო ვალით მიღებულ წილს არ დებენ, იმიტომ რომ ჯერ ერთი, საგარეო ვალი დასაბრუნებელია და მეორეც 7,5%-ია გადასახდელი. ეს ძვირი ფულია.

მოკლედ, ფინანსთა მინისტრმა უარყო ამ ფულის ენერგეტიკულ პროექტებში გახარჯვა. შემდეგ ენერგეტიკის მინისტრმა ხეთაგურმა თქვა, ეს ფული ენერგეტიკას მოხმარდებაო.

აპრილში მთავრობამ განგვიცხადა, ამ თანხის ნახევარი მომავალი თაობების და სტაბილური განვითარების ფონდში წავა, დანარჩენი კი რაში დაიხარჯება მოგვიანებით მოვიფიქრებთო. აი, მოგვიანებით რა მოიფიქრეს, ეს არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში ქვეყანამ ისე აიღო ნახევარი მილიარდი დოლარი საგარეო ვალი, რომ მთავრობა არ იყო გულწრფელი, რისთვის აიღო ეს ფული.

შეიძლება ითქვას, რომ წაგებული ომის პირობებში ძალზე საჭიროც იყოს ეს ფული, რადგან ახლა აღარავინ გვასესხებდა. ეს ფული შეიძლება ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და გაჭირვებული ხალხის დასახმარებლად გამოვიყენოთ, მაგრამ აქ მეორე მომენტია, ეს ვალი, თავისი საპროცენტო განაკვეთით 5 წლის შემდეგ დასაბრუნებელია.

2013 წელს კონსტიტუციით საპრეზიდენტო არჩევნები უწევს. ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, საპრეზიდენტო არჩევნების დროს ამხელა თანხას საგარეო ვალის გასასტუმრებლად ბიუჯეტში ჩადებს? ჩვენ რა ვიცით, იმ დროს ლართან მიმართებაში გაცვლითი კურსი რამდენი იქნება?

**– კი მაგრამ ეს ვალი ხომ გადასახდელია? რას ფიქრობთ, სააკაშვილის ხელისუფლება რას მოიმოქმედებს?**

– 2013 წელს ახალი ემისია იქნება, ობლიგაციები გაიყიდება. აიღებენ ისევ, ვთქვათ, 700 მილიონ დოლარს, საიდანაც 500 მილიონი ძველი ვალის დასაფარად წავა. მოკლედ, ძალზე ცუდ სისტემაში ვხვდებით, ძველი ვალის დასაფარად ახლის აღება დაგვჭირდება. ემისია 4-5-წლიანია და ის ყოველთვის საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნებს დაემთხვევა, ამიტომ სულ პრობლემა გვექნება ვალის გადახდაში. აი, რაში გახვია გურგენიძის მთავრობამ საქართველო. მან ეს პრობლემა მარტო ახლა კი არა, გრძელვადიან

პერსპექტივაში აგვკიდა, რადგან 5 წლის მერე რომელი მთავრობაც არ უნდა იყოს, შიდა რესურსით საგარეო ვალის გადახდა არ შეეძლება. განა იმიტომ, რომ შიდა რესურსი არ იქნება? იქნება მაგრამ ის ქვეყანას დასჭირდება, რადგან საარცევნო წელი იქნება. საგარეო ვალის გასასტუმრებლად ამ ფულს არავინ გაიმეტებს. ვალი კი გასასტუმრებელია, ამიტომაც ახალი ვალი იქნება ასაღები.

**მანანა სუხიშვილი**